



თბილისის ღია სასწავლო
უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის საქმიანობის წლიური ანგარიში

(2015-2016 სასწავლო წელი)

1. სასწავლო პროცესის ხარისხის სრულყოფა

#	გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
1.1	საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფა/მოდულიზაცია;	ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სკოლის საბჭო. პროგრამის ხელმძღვანელები	<p>საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის დახვეწა და მუდმივად განვითარება უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. საგანმანათლებლო პროგრამების განმავითარებელი ჯგუფების მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი მოდიფიცირების დროს გათვალისწინებული იქნა ახალი განმახორციელებლების და ახალი სახელმძღვანელოების ჩართვა, სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები, დარგის მიმართულებით არსებული სიახლეების პროგრამაში ასახვა.</p> <p>საანგარიშო პერიოდში: სილაბუსები გამდიდრდა ახალი ლიტერატურით; საგანმანათლებლო პროგრამებს დაემატა რამდენიმე ახალი სასწავლო კურსი.</p> <p>პროგრამების მოდიფიცირება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა ორჯერ: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დასაწყისში (აკად. და წარმომადგენლობითი სენატის დადგენილებები: # 50 31.08.2015; #54 04.02.2016</p>

<p>1.2</p>	<p>ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და მისი დადგენილი წესით აკრედიტაცია</p>	<p>ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სკოლის საბჭო. პროგრამის ხელმძღვანელები</p>	<p>სკოლის საბჭოების წარდგინებით რამდენიმე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე აკადემიური დაწარმოდადგენლობითი სენატის მიერ დამტკიცდა ახალი ხელმძღვანელები. კერძოდ: ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელად- რუსუდან ტყემელაშვილი; ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელად- ლელა ახალაია; ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად- ლელა ახალაია; ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელად- ხატია შევარდნაძე.</p>
<p>1.3</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება</p>	<p>სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;</p>	<p>პროგრამის კატალოგი განახლდა სკოლის, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების: აბიტურიენტების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალისაგან უკუკავშირის საფუძველზე.</p>
<p>1.4</p>	<p>აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება და კვალიფიკაციის ამაღლება</p>	<p>სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი.</p>	<p>სასწავლო წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა გამოაცხადა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი ერთჯერ, რომელთა შედეგები გამოქვეყნდა უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 23 სექტემბრის N02-138 ბრძანებით. ღია კონკურსის მეშვეობით ავირჩიეთ აკადემიურ თანამდებობაზე პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტი. შემდეგ მიმართულებებზე: 1 პროფესორი-ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით; 1 პროფესორი- ჟურნალისტიკის მიმართულებით; 1 პროფესორი- სოციალური მეცნიერებების მიმართულებით; 1 ასოცირებული პროფესორი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით; 1 ასოცირებული პროფესორი- სამოქალაქო სამართლის მიმართულებით;</p>

			<p>1 ასოცირებული პროფესორი - სამოქალაქო სამართლის მიმართულებით;</p> <p>1 ასისტენტი-ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით</p>
<p>1.5</p>	<p>სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება</p>	<p>სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური</p>	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, შესაბამისად საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს და იძლევა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. დაწესებულების მართვაში, ასევე, საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს: კომპიუტერები და ინტერნეტი დროის ნებისმიერ მონაკვეთში ხელმისაწვდომია როგორც აკადემიური პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისათვის. კომპიუტერულ ლაბორატორიებში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების ადექვატურია.</p>
<p>1.6</p>	<p>ინგლისური ენის, როგორც უნივერსალური საკომუნიკაციო და სამეცნიერო ენის სწავლების ხარისხის ამაღლება</p>	<p>ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სკოლა; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;</p>	<p>გაიზარდა ინგლისური ენის საკონტაქტო საათების რაოდენობა და შემცირდა სამუშაო ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობა</p>
<p>1.7</p>	<p>თანამედროვე მოთხოვნების პროგრესული გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების, სტუდენტთა მობილობის, პროფესიული პრაქტიკის გავლისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საქართველოს ავტორიზებულ უნივერსიტეტებთან და დამსაქმებლებთან საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან</p>	<p>სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის</p>	<p>გამყარდა ურთიერთობა საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან (საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან). გაფორმდა ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ კერძო ორგანიზაციებთან: შპს „პრობლემური აქტივების ბიურო“ საერთაშორისო და საჯარო ორგანიზაციებთან: გამყარდა ურთიერთობა საქართველოში ჩინეთის საელჩოსთან. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სსიპ - ნატოსა და</p>

		<p>სამსახური; კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი.</p>	<p>ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრთან. საქართველოს და უცხოეთის ავტორიზებულ უნივერსიტეტებთან: ჩინეთის რესპუბლიკის ლანჯოუს უნივერსიტეტი (Lanzhou University China);</p>
<p>1.8</p>	<p>ბოლონის პროცესის მონაწილე უცხო ქვეყნების უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა, სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობის პროცესის ხელშეწყობა</p>	<p>სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;</p>	<p>ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. ჩინეთის რესპუბლიკის ლანჯოუს უნივერსიტეტთან. ურთიერთგაგების მემორანდუმი ითვალისწინებს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლას, სხვადასხვა ტიპის ერთობლივ პროექტებს, კონფერენციებს და სხვა. 2015-2016 სასწავლო წლიდან ჩინური ენა სავალდებულო საგნად ისწავლება თოუ-ს საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამაზე. საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსა და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ერთობლივის პროექტის ფარგლებში ხორციელდება ჩინური ენის შესწავლა უფასოდ სტუდენტებისათვის. საუკეთესო სტუდენტებს კი ჩინეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ეძლევათ. 2015-2016 სასწავლო წელს ჩინეთში სწავლას ჩვენი უნივერსიტეტის ოთხი წარმატებული სტუდენტი აგრძელებს (ლანა დოლაშვილი, ჯემალ ბალავაძე, ბექა თედიაშვილი და ნინო კარანაძე). ნინო კარანაძე და ლანა დოლაშვილი Southeast University-ში ჩაირიცხნენ. აქ მოხვედრა საკმაოდ რთულია. ნინო და ლანა აქ პირველი ქართველი სტუდენტები არიან. Southeast University-ში საქართველოს შესახებ ძალიან მწირ ინფორმაციას ფლობენ. ჩვენს სტუდენტებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ - წარმოაჩინონ საქართველო დიდ ჩინეთში. ნინო და ლანა სწავლას მაგისტრატურაში, საერთაშორისო ეკონომიკასა და ვაჭრობის ინგლისურენოვან ფაკულტეტზე (International Economic & Trade) აგრძელებენ. უნივერსიტეტი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში, Jiangsu-ს პროვინციაში, ქალაქი Nanjing. ეს გახლავთ სიდიდით მეორე ქალაქი შანხაის შემდეგ.</p>

<p>1.9</p>	<p>განათლების საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა</p>	<p>პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;</p>	<p>უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო განათლების საერთაშორისო გამოფენაში.</p>
<p>1.10</p>	<p>აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების დასხვა ანკეტირება, შედეგების ანალიზი და სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, მათი გათვალისწინება და მონიტორინგი</p>	<p>ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სკოლა; პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;</p>	<p>კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ტენდენციები, რომლებიც, კვლევის ჯგუფის წევრების აზრით, საჭიროებს გაუმჯობესებას/მოგვარებას:</p> <p>სასწავლო პროცესის ორგანიზება</p> <ul style="list-style-type: none"> • სტაპენდიის დანიშვნის წესის ცვლილება და მოცულობის გაზრდა • ინდივიდუალურ გრაფიკზე მყოფი სტუდენტებისათვის უფრო მოსახერხებელი საგამოცდო გრაფიკი • გამოცდების შორის შუალედის შემცირება • გამოცდების ელექტრონულად ჩატარება • ლექციის დაწყება/დამთავრებისას ზარის გამოყენება ჩათვალეს მოძველებულ ფორმად <p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზი ს შემოწმება</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის მდებარეობის სიშორე • მოძველებული სააუდიტორიო სივრცე • ინტერნეტ სივრცეში მეტი კომპიუტერის არსებობა • რეკრიაციული სივრცის არსებობა • WIFI დაბალი სიჩქარე • WIFI გავრცელების არიალის გაზრდა <p>საბიბლიოთეკო რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> • წიგნების ელექტრონული ვარიანტების სასწავლო პროგრამაში განთავსება • საბიბლიოთეკო სივრცის გაფართოება <p>სტუდენტთა ინიციატივები</p>

- ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტები ითხოვენ ინგლისური ენის კლუბისთვის დაფინანსების გაზრდას
- გაცვლითი პროგრამების რაოდენობის გაზრდა
- საჯარო ლექციების გაზრდა
- ტრენინგების გაფართოება
- სტაჟირებაზე ხელშეწყობა
- კვლევით პროექტებში სტუდენტთა მეტი ჩართულობა
- გასართობი ღონისძიებებისათვის მეტი ფინანსური უზრუნველყოფა

ადმინისტრაციის კმაყოფილების კვლევა

- შრომის ანაზღაურების გაზრდა
- წახალისების მექანიზმების განვითარება

პროგრამის შესახებ ინფორმაცია (სტუდენტები)

- გაძლიერდეს ენების კომპონენტი და დაემატოს ინგლისური ენის გარდა სხვა ენები
- თითქმის ყველა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ითხოვენ საინფორმაციო ტექნოლოგიების სილაბუსისთვის კრედიტების შემცირებას
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში გაგრძელდეს ფრანგული ენა და დაემატოს ფრანგულ ენა 5 და ფრანგული ენე 6
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში ჩინური ენა გადავიდეს არჩევით კომპონენტად
- სამართლის საბაკალავრო პროგრამაში გაიზარდოს დარგობრივი კომპონენტი და შემცირდეს ზოგადსაუნივერსიტეტო კურსები
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მოთხოვნაა ლაბორატორიის გამდიდრება
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მოთხოვნაა ტელევიზიის ჩამოყალიბება
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის

სტუდენტების მოთხოვნაა უახლესი საბუღალტრო ელექტონული პროგრამების სწავლება

კურსდამთავრებულთა გამოკითხვა

- პრაქტიკისთვის უფრო მეტი კრედიტების დათმობა

დამსაქმებელთა საჭიროებები

- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ამაღლება

ლექტრთა ინდივიდუალური შეფასება სტუდენტის მიერ

- დაგვიანების აღმოფხვრა
- ლექციაზე ინტერაქციის ნაკლებობა
- თანამედროვე სწავლების ელექტრონული მეთოდების ნაკლებობა

აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური შეფასება სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით

- თანამედროვე სწავლების ელექტრონული მეთოდების ნაკლებობა
- დისციპლინის ნაკლებობა
- დროის მართვის კულტურის დეფიციტი

1.11	პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად ფინანსური გეგმის განახლება	საფინანსო სამსახური	უნივერსიტეტის ბიუჯეტში გაიზარდა პროგრამების დაფინანსება.
------	---	---------------------	--

1.12	საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების მომზადება/შეესება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა	სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	თვითშეფასების ანგარიში ცალკეულ პროგრამებზე მომზადდა პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების ჩართულობით და ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ თვითშეფასების კითხვარის სახით დადენილ ვადებში იქნა წარდგენილი სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში .
------	--	--	--

1.13	სტუდენტთა მობილობა	სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	უნივერსიტეტმა განახორციელა შიდა და გარე მობილობები, ყველა პროცედურული დეტალის გათვალისწინებით. დადგინდა და გამოცხადდა კვოტები, მომზადდა შესაბამისი შედარების აქტები და გადაწყვეტილებები. სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია შედეგების შესახებ.
1.14	საბაკალავრო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების შესახებ ანკეტა-კითხვარის და სამაგისტრო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების შესახებ ანკეტა-კითხვარის წარდგენა	სენატი; მმართველობითი საბჭო; სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	ხორციელდება ყოველწლიურად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში. 2015-2016 სასწავლო წელს ინფორმაცია შევსებული აკკეტა-კითხვარის სახით (როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო) გადაეგზავნა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (დადგენილება # 52 10.12.2015 -თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ და დადგენილება # 55 24.02.2016 2016/2017 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურაში მისაღებ პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის და მაგისტრატურის სპეციალური ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ).

2. სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

	გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
2.1	უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება	მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი ; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური;	მიმდინარეობს უნივერსიტეტის კორპუსის მშენებლობა ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ.N2-ში. (თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება N1211666) შენობის საერთო ფართი მოიცავს 14 000 კვ.მ ტერიტორიას. აქედან დაახლოებით 9000 კვ.მ დაეთმო უნივერსიტეტის სასწავლო ფართს. შენობაში განთავსდება უახლესი თაობის აპარატურა, მოეწყობა კაბინეტ-ლაბორატორიები, თანამედროვედ აღიჭურვება სალექციო აუდიტორიები, გაკეთდება

			საკონფერენციო დარბაზები, მოეწყობა სპროტული დარბაზი და ა. შ.
2.2	უახლესი მოდელის კომპიუტერული ტექნიკის, ასლგადამღები აპარატურის, პროექტორების, სასწავლო და საოფისე ინვენტარის შექმნა-განახლება	მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.	შემენილ იქნა უახლესი მოდელის კომპიუტერული ტექნიკა (4 ერთეული), პროექტორი, განახლდა სასწავლო და საოფისე ინვენტარი.
2.3	ბიბლიოთეკისათვის ლიტერატურის და პერიოდული გამოცემების ფონდის გამდიდრება/შევსება. სხვა ბიბლიოთეკებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და ახალი, გადამუშავებული სილაბუსებით დადგენილი ძირითადი ლიტერატურის შექმნა	სკოლა; ბიბლიოთეკა; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	<p>გასულ წელთან შედარებით საბიბლიოთეკო ფონდი გაიზარდა 177 ერთეულით, აქედან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სახელმძღვანელოების რაოდენობა გაიზარდა 177 ერთეულით</p> <p>სასწავლო უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი სრულადაა ასახული სერვერზე ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემაში „openbiblio” (http://www.openuni.edu.ge/openbiblio), რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი მომხმარებლისთვის.</p> <p>სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, ხოლო 2011 წლიდან არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი.</p> <p>პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკათან. აღნიშნული მემორანდუმით უნივერსიტეტი უსასყიდლოდ ისარგებლებს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზებით და ბიბლიოთეკათშორისი მომსახურების აბონემენტით.</p> <p>თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია ასოციაცია "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" (eIFL), მონაწილეთა კონსორციუმის</p>

წევრად და მინიჭებული აქვს საინფორმაციო საშუალებათა გამოყენების უფლება, კერძოდ გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

EBSCO Publishing წარმოადგენს ჟურნალებისა და საცნობარო გამოცემების უდიდეს კოლექციას, რომელიც მოიცავს: 7000-ზე მეტ დასახელების სტატიას მეცნიერებისა და ბიზნესის პრაქტიკულად ყველა სფეროში, ასევე ამერიკისა და რუსეთის უმნიშვნელოვანესი გაზეთების სრულ სტატიებს. ეს კოლექცია ასევე გამოირჩევა ძალზე მოხერხებული და ეფექტური საძიებლით.

Royal Society Journals Collection (<http://royalsocietypublishing.org>) სამეფო საზოგადოების ჟურნალების კოლექციაში შედის რვა დასახელების მაღალი იმფაქტ- ფაქტორის მქონე ჟურნალები ტექნიკური მეცნიერებში მათ შორისაა ფიზიკა, ბიოლოგია და სხვა.

Bio One (<http://www.bioone.org>) აღნიშნულ ბაზაში თავმოყრილია თანამედროვე კვლევები ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ და გარემოს დაცვით სფეროებიდან.

New England Journal of medicine (<http://www.nejm.org/>) ამ ჟურნალის საშუალებით შეგიძლიათ გაეცნოთ უახლეს სამეცნიერო კვლევებს მედიცინის ნებისმიერ დარგში.

Oxford textbook of Medicine (<http://oxfordmedicine.com>) ოქსფორდის მედიცინის ელექტრონული კოლექცია აერთიანებს 300-ზე მეტი დასახელების ონლაინ სამედიცინო სახის რესურსს.

2.4	ვებ-გვერდის სრულყოფა და სისტემატური განახლება	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.	გასულ წელთან შედარებით განახლდა ვებგვერდი www.openuni.edu.ge , რომელსაც გააჩნია მარტივი სამართავი პანელი და ყველა აუცილებელი ფუნქცია ეფექტურად
-----	---	---------------------------------------	--

2.5	ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობის მიმდინარეობა ქ. თბილისში (მის: უნივერსიტეტის N2)	მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი; რექტორი; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური; საფინანსო სამსახური.	<p>ფუნქციონირებისთვის. განხორციელდა ვებგვერდის ყოველწლიური მონიტორინგი და გასწორდა შეცდომები. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.</p> <p>აღწერა: შენობის საერთო ფართი მოიცავს 14 000 კვ.მ ტერიტორიას. აქედან დაახლოებით 9000 კვ.მ დაეთმოა უნივერსიტეტის სასწავლო ფართს. შენობაში განთავსდება უახლესი თაობის აპარატურა, მოეწყობა კაბინეტ-ლაბორატორიები, თანამედროვედ აღიჭურვება სალექციო აუდიტორიები, გაკეთდება საკონფერენციო დარბაზები, მოეწყობა სპროტული დარბაზი და ა. შ.</p> <p>შენობის დამთავრება იგეგმება 2016 წელს ივლის-აგვისტოში, ხოლო სარემონტო სამუშაოები დასრულდება 2017 წლის სექტემბრისთვის.</p>
-----	--	---	--

3. სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობა

	გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
3.1	უნივერსიტეტში სასწავლო- სამეცნიერო ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების და ოლიმპიადების ჩატარება	სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი; სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	<p>სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსებით ყოველწლიურად ტარდნ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები.</p> <p>2016 წელს ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია შემდეგ განრიგით:</p> <p>17,18,19 მაისი-სხდომები მიმართულებების მიხედვით; 24 მაისი დასკვნითი სხდომა.</p> <p>კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო სამართლის, ჰუმანიტარულ ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სტუდენტებმა.</p> <p>კონფერენციის ფარგლებში დამუშავდა შემდეგი თემები:</p> <p>მიმართულება : ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები</p> <p>1. ლიკა ჭაფანძე - პროგრამა - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები</p> <p>თემა: ქართული ნედლეული ევროპულ ბაზრებზე (ნედლი</p>

- ხილის ევროპული ბაზარი და წარმოების პოტენციალი);
 ხელმძღვანელი: ავთანდილ ზედგინიძე
2. კონცელიძე ლანა პროგრამა - საერთაშორისო ეკონ. ურთიერთობები
 თემა: ბიზნესის ამერიკული პროფესიები
 ხელმძღვანელი: ავთანდილ ზედგინიძე
3. სალომე ხიხაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ეკონ. ურთიერთობები
 თემა: საბანკო საქმიანობის რისკები და მათი რეგულირების მეთოდები
 ხელმძღვანელი: დალი მაგრაქველიძე
4. ნინო ლამაზოშვილი -საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ეკონ. ურთიერთობები
 თემა: ოფშორული პროგრამირების განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ხელმძღვანელი: ნოდარ სამხარაძე
5. ეკატერინე სომხიშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ეკონ. ურთიერთობები
 თემა: საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციის კლასტერული გზა; ხელმძღვანელი: ნოდარ სამხარაძე
6. რზაევ ტაბრიზ - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ეკონ. ურთიერთობები
 თემა: საქართველოს და თურქეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები; ხელმძღვანელი: აივაზ გოჯაევი
7. ჭაფანძე ბაჩო - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები
 თემა: რუსეთის საგარეოპოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში
 ხელმძღვანელი: ზურაბ კვეტენაძე
8. ბიგვავა სალომე -საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები
 თემა: კულტურის კრიზისი და „ახალი აღორძინების“ პერსპექტივები
 ხელმძღვანელი: ზურაბ კვეტენაძე
9. იოსებ ფარეხელაშვილი -საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები

თემა: კლასიკური გერმანული და ბრიტანული გეოპოლიტიკური პოსტულატები - შედარებითი ანალიზი. პრაქტიკული გამოვლინებები
 ხელმძღვანელი: ნოდარ ხონელიძე
 10. შალვა ქენქაძე -საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები
 თემა: ნიკო ნიკოლაძის სტატია „იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან“ გეოპოლიტიკური ანალიზი
 ხელმძღვანელი: ნოდარ ხონელიძე
 11. თამთა თავართქილაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები
 თემა: ჩინეთი, როგორც XXI საუკუნის შესაძლო წანყვანი სახელწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში
 ხელმძღვანელი: ნოდარ ხონელიძე
 12. თეკლა ტურავა - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები
 თემა: რუსეთ-ამერიკის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში
 ხელმძღვანელი: ქეთევან ჯიჯეიშვილი
 13. თამარ ევგენიძე -საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები
 თემა: გეოპოლიტიკური ბრძოლა სამხრეთ კავკასიისათვის
 ხელმძღვანელი: ეპიფანე გვენეტაძე
 14. ლანა მშვიდლობაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები
 თემა: ამერიკის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსვლეთში
 ხელმძღვანელი: მათა ამირგულაშვილი
 15. სანდრო თორდია - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები
 თემა: ისრაელის ებრაული სახელმწიფო - ბრძოლა არსებობისათვის
 ხელმძღვანელი: ნოდარ ხონელიძე
 16. დავით ჯინჭარაძე -საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები
 თემა: ისრაელის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში

- ხელმძღვანელი: მაია ამირგულაშვილი
17. ჯულიეტა პაპიაშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები
 თემა: უსაფრთხოების საკითხები სამხრეთ კავკასიაში
- ხელმძღვანელი: ეპიფანე გვენეტაძე
18. სოფიო ბაქრაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ქართული ფილოლოგია
 თემა: ვაჟა-ფშაველას შეხედულება ლიტერატურასა და ხელოვნებაზე
- ხელმძღვანელი: ხატია შევარდნაძე
19. ნინო მჭედლიძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ქართული ფილოლოგია
 თემა: ვაჟა-ფშაველას პოეზიასთან გიორგი ლეონიძის შემოქმედებითი მიმართება
- ხელმძღვანელი: ხატია შევარდნაძე
20. თამთა კაპანაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ქართული ფილოლოგია
 თემა: ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათები
- ხელმძღვანელი: ხატია შევარდნაძე
21. მარიამ ჩიქობავა - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: ივანე მაჩაბელი და ქართული შექსპიროლოგია
- ხელმძღვანელი: კობა წურჭუშია
22. მარიამ აბსანძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: ინგლისელი ქართველოლოგები მარჯორი და ოლივერ უორდროპები; ხელმძღვანელი: კობა წურჭუშია
23. ქეთინო შაინიძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: ალფრედ ნობელი
- ხელმძღვანელი: კობა წურჭუშია
24. თეონა ტაბატაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: ბერნარდ შო ინგლისური დრამის რეფორმატორი

ხელმძღვანელი: კობა წურჭუბია

25. ანანო გიგინეიშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: ანგლიციზმები ქართულ ჟურნალ - გაზეთებში

ხელმძღვანელი: სოფიო მორალიშვილი

26. ნინო სუხაშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: ინტერნეტი, როგორც ანგლიციზმთა გავრცელების ძირითადი საშუალება; ხელმძღვანელი: სოფიო მორალიშვილი

27. თამარ ჩაჩანიძე -საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: ბრიტანული სლენგი

ხელმძღვანელი: იზოლდა ჩხობაძე

28. ნინო ქვეთარაძე -საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: ბრიტანულ-ამერიკული ინგლისური ენის ძირითადი განსხვავებანი

ხელმძღვანელი: იზოლდა ჩხობაძე

29. თეონა ტაბატაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: მასწავლებლის პროფესია

ხელმძღვანელი: სოფო კვატაშიძე

30. მარიამ გაჩეჩილაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: ემოციების ენა როგორც ენის კულტურის გამოხატვის საშუალება; ხელმძღვანელი: სოფიო მორალიშვილი

მიმართულება: სამართალი

1. ქეთი ბოლქვაძე- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალმცოდნეობა

თემა: ევთანაზია; ხელმძღვანელი: დავით კარიაული

2. ქეთი ბოლქვაძე, მარიამ ხაფავა- საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალმცოდნეობა

თემა: ძალადობა საქართველოში

- ხელმძღვანელი: თამაზ მაჩიტაძე
3. მარიამ ტორჩინავა- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალმცოდნეობა
 თემა: ევტანაზია ქართულ კანონმდებლობაში და მსოფლიო ასპექტები; ხელმძღვანელი: თამაზ მაჩიტაძე
4. ვახტანგ დევდარიანი, შალვა გელაშვილი- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალმცოდნეობა
 თემა: ნარკომანია; ხელმძღვანელი: თამაზ მაჩიტაძე
5. გიორგი ყაველაშვილი- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალმცოდნეობა
 თემა: უდანაშაულობის პრეზუმპცია
 ხელმძღვანელი: თამაზ მაჩიტაძე
6. ნინო კონჯარია- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალმცოდნეობა
 თემა: წამება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული
 ხელმძღვანელი: დავით კარიაული
7. ომარ გოგუა, რუსუდან ფუტკარაძე- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალმცოდნეობა
 თემა: გენდერული თანასწორობის სურათი დღევანდელ საქართველოში; ხელმძღვანელი: დავით კარიაული
8. გვანცა ბერუაშვილი- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალმცოდნეობა
 თემა: ქორწინება და მისი საკანონმდებლო რეგულირება
 ხელმძღვანელი: შალვა ქურდაძე
9. მაკა ჭიხვარია- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალმცოდნეობა
 თემა: ბრალდებული როგორც სისხლის სამართლის პროცესის მხარე; ხელმძღვანელი: თეა შაყულაშვილი

მიმართულება: ბიზნესი და ინჟინერია

1. მარიამ აფციაური- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი
 თემა: ეკონომიკა და ეკონომიკური აზროვნება (ფასანაურის მაგალითზე)

- ხელმძღვანელი: მამია ჭუმბურიძე
2. ნანა დანელია, თამუნა ძელური- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება
 თემა: გადაწყვეტილებები მენეჯმენტის საქმიანობაში
 ხელმძღვანელი: ლალი ფირცხალაიშვილი
3. ქეთევან ხოსრიაშვილი -საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი
 თემა: მიკრო და მაკრო მეწარმეობის განვითარება დუშეთის მუნიციპალიტეტის მაგალითზე
 ხელმძღვანელი: მამია ჭუმბურიძე
4. ანი ბაიაშვილი,ნინო ლამაზოშვილი--საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.
 თემა: მოტივაციის ეფექტურობა მენეჯმენტში
 ხელმძღვანელი: ლალი ფირცხალაიშვილი
5. მარი გოცაძე-საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება
 თემა: ბიოპროდუქტების ბაზრის განვითარების ტენდეციები საქართველოში
 ხელმძღვანელი: ნინო გრიგოლაია
6. გოგა გელაშვილი- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება
 თემა: სოციალური დაცვის სისტემები მსოფლიოში და საქართველოში
 ხელმძღვანელი: ნინო გრიგოლაია
7. თამუნა ძელური- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება
 თემა: ბრენდინგის სტრატეგია ბაზარზე
 ხელმძღვანელი: მარინე ალანია
8. რამაზ ანთიძე- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება
 თემა: ქართული ბიზნესის ჰუმანიტარული ტრადიციები
 ხელმძღვანელი: ავთანდილ ზედგინიძე
9. შორენა ბერულავა- საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამა: ფინანსები და საბანკო საქმე
თემა: ქალი და ბიზნესი
ხელმძღვანელი: რუსუდან კვარაცხელია
10. ლელა ყურაშვილი-საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამა: საგადასახადო - საბაჟო საქმე
თემა: უმუშევრობა
ხელმძღვანელი: ეთერ კაკულია
11. ნიკა ჭაღალიძე- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:
ბიზნესის ადმინისტრირება
თემა: სახელმწიფოს დეფოლტი და მისი გამოძწვევი მიზეზები
ხელმძღვანელი: დალი მაგრაქველიძე
12. ანი ბაიაშვილი-საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:
ბიზნესის ადმინისტრირება
თემა: საფონდო ბირჟა, პრობლემები და პრესპექტივები
საქართველოში
ხელმძღვანელი: დალი მაგრაქველიძე
13. ნანა დანელია- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:
ბიზნესის ადმინისტრირება
თემა: მომსახურების ბაზრის თავისებურებანი
ხელმძღვანელი: მარინე ალანია
14. რუსუდან ლეკაშვილი- საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამა: გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა
(სატრანსპორტო ლოჯისტიკა)
თემა: საქართველოს საზღვაო პორტები და მნიშვნელობა
ქვეყნისათვის
ხელმძღვანელი: ნათია ბუთხუზი
15. ნესტან გოგილაშვილი-საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამა:გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა
(სატრანსპორტო ლოჯისტიკა)
თემა: მუნიციპალური ავტოტრანსპორტის მარშრუტის
ოპტიმიზაციის სქემა
ხელმძღვანელი: ვალერი ჯაჯანიძე
16. ანი ბაქრაძე-საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამა:გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა

			<p>(სატრანსპორტო ლოჯისტიკა) თემა : სადისტრიბუციო სატრანსპორტო ლოგისტიკური მომსახურება ქართულ ბაზარზე ხელმძღვანელი: ნათია ბუთხუზი 17. ანი მაღრაძე- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა (სატრანსპორტო ლოჯისტიკა) თემა: TRACECA - ს სატრანსპორტო დერეფანზე ტვირთების გადაზიდვის ეფექტურობის ამაღლება ლოგისტიკის ანალიზის საფუძველზე; ხელმძღვანელი: ნათია ბუთხუზი 18. ვალიკო ლემონჯავა-საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა (სატრანსპორტო ლოჯისტიკა) თემა: მომავლის საქალაქო ინდივიდუალური სატრანსპორტო საშუალებები; ხელმძღვანელი: ვალერი ჯაჯანიძე 19. გრიგოლ გუკასიანი-საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: კომპიუტინგი/ინფორმატიკა თემა: ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება კომპიუტერული პროგრამა MAPL ხელმძღვანელი: გელა ჭიკაძე</p>
<p>3.2</p>	<p>უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში</p>	<p>საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;</p>	<p>გაიმართა საუნივერსიტეტო საშორისო კონფერენცია რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი</p>
<p>3.3</p>	<p>მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების მომზადება და მათი წარდგენა დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად</p>	<p>სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი; სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური;</p>	<p>უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ საგრანტო კონკურსში, კერძოდ Jean Monnet მოდულის ქვეპროგრამაში, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის კვლევების პოპულარიზაციას და სტუდენტთა საზოგადოების ინფორმირებულობას ევროპის მცოდნეობის მიმართულებით.</p>

			<p>ამასთანავე Erasmus+ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო მობილობის პროექტში ვილნიუსის უნივერსიტეტთან ერთად</p>
<p>3.4</p>	<p>აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობა კვლევებში სხვადასხვა მიმართულებით და საწიროების შემთხვევაში მათი დაფინანსება</p>	<p>სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი; სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;</p>	<p>ამჟამად უნივერსიტეტში მუშავდება და დაფინანსება გაწერილი აქვს შემდეგ პრიორიტეტულ კვლევით პროექტებს (პროექტები წარდგენილ იქნა 2015 -2016 წელს)</p> <ol style="list-style-type: none"> 1. არაერთგზისი დანაშაულის და რეციდივის პრობლემა-ალექსანდრე გიორგიძე 2. დეფოლტი და მისი გამომწვევი მიზეზები კომერციულ ბანკებსა და სახელმწიფოში-დალი მაგრაქველიძე 3. ხელოვნური განაყოფიერება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში-დავით კარიაული 4. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში-სოფიო მორალიშვილი 5. პედაგოგიური პრაქტიკის როლი სტუდენტთა თეორიული ცოდნის გაღრმავების საქმეში-ლელა ახალაია 6. მედიის კვლევა-რეიტინგი-ნატო ონიანი 7. განათლების როლი ინტეგრაციის კონტექსტში-აზიზ მამედოვ 8. საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში დოკუმენტური აკრედიტივით საბანკო ანგარიშსწორების სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის საკითხები-ზაურ ამილახვარი, ბადრი მეჩხია, გონერ ურიდია 9. ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების რისკები, გამოწვევები და პერსპექტივები-მაია ამირგულაშვილი 10. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები-ნინო ხუნაშვილი 11. რუსეთ-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობები და

პერსპექტივები-ეპიფანე გვენეტაძე

3.5 კვლევების საფუძველზე სახელმძღვანელოების მომზადება და მათი გამოცემა სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი; სკოლა; სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოცემების დაფინანსება.
საანგარიშო წელს გამოცემულია:
დალი მაგრაქველიძე- ფინანსური რისკები და მათი ხარისხის დაწვევის მათემატიკური მოდელები“
ზურაბ ჯიბლაშვილი- უნდობლობის კონსტიტუციური ვოტუმი ტანამედროვე ევროპაში და მისი ქართული გაგება

3.6 უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის მომზადება და პერიოდული გამოცემა სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი; სკოლა; გამოიცა უნივერსიტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი.

3.7 კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსების ორგანიზება კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგები როგორც სტუდენტებისათვის ასევე თანამშრომელთათვის

უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება/შეფასება

გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
3.8 ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება	ხარისხის მართვისა და სტრატეგიული გავითარების სამსახური ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; სკოლა; საინფორმაციო ტექნოლოგიების	ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში მომზადდა ყველა სტრუქტურული ერთეულის, პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების ჩართულობით და ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ თვითშეფასების კითხვარის სახით დადენილ ვადებში იქნა წარდგენილი სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში

სამსახური; (მაისი - ივნისი , 2016)
 საფინანსო სამსახური;
 ბიბლიოთეკა; პრესასთან და
 საზოგადოებასთან
 ურთიერთობის სამსახური;
 საერთაშორისო
 ურთიერთობების სამსახური;
 დაცვისა და უსაფრთხოების
 სამსახური;
 სამეურნეო-ტექნიკური
 სამსახური;
 სამეცნიერო- კვლევითი ცენტრი;
 კვალიფიკაციის ამაღლებისა და
 გადამზადების ცენტრი.

4. უნივერსიტეტში სოციალური საკითხების სრულყოფა

გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
4.1 უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზრაურების გაზრდა	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზრაურება გაიზარდა
4.2 თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	გაუმჯობესდა თანამშრომელთა სამუშაო პირობები (საოფისე ავეჯის შექმნა, თანამშრომელთა წახალისება,
4.3 მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; სკოლა.	მაღალი რეიტინგის მქონე 10 სტუდენტს დაენიშნა სტიპენდია ;

4.4	სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსება ექსკურსიების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად ფინანსური გეგმის შესაბამისად	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	მოეწყო ექსკურსიები , დაფინანსდა სტუდენტური უნივერსიადის ფარგლებში მონაწილეობისათვის სპორტული გუნდები : ფუტზალში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, მკლავჭიდში; უნივერსიტეტის მხიარულთა და საზრიანთა გუნდი; ფოლკლორული ანსამბლი.
4.5	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა	კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი	კურსდამთავრებულები ჩართული არიან საგანამანთლებლო პროგრამების შეფასების და შემუსავების პროცესში. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მიმდინარეობს ვაკანსიების მოძიება, მოლაპარაკებები პრაქტიკის ობიექტებთან სტაჟირების თაობაზე.
4.6	სტუდენტებისათვის უფასო მგზავრობის, სერვისის გაუმჯობესება და გაფართოება	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	სტუდენტებს ემსახურება უფასო ავტობუსი.

5. საჯარო ლექციები და უნივერსიტეტის სტუმრები

	გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
5.1	მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტსა და ლანჩოუს უნივერსიტეტს (ჩინეთი) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. ღონისძიებასთან დაკავშირებით TOU-ს დღეს ლანჩოუს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ბატონი პან ბაოტიანი და დაწესებულების სხვა წარმომადგენლები ესტუმრნენ.
5.2	მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	21 სექტემბერს ლანჩოუს უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის დირექტორი TOU-ს ესტუმრა. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს ლანჩოუს უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის დირექტორი, ჩო რუსანი ეწვია და სხვა პროფესორებთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობების

			სპეციალობის პირველკურსელებს ჩინური ენის სწავლების შესახებ ესაუბრა.
5.3	მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	12 ივნისს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე და საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოადგილე თამარ მედულაშვილი ესტუმრნენ.
5.4	მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.		ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელის ვიზიტი და საჯარო ლექცია.
5.5	სადღესასწაულო საღამო	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	23 ივნისს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში ჩინეთ-საქართველოსადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩინური ენის პედაგოგთან, ჰუ ჰასთან ერთად სტუმრებს საინტერესო წარმოდგენა შესთავაზეს. ღონისძიების მონაწილეებმა წაიკითხეს ჩინური და ქართული ლექსები, შეასრულეს ქართული და ჩინური სიმღერები და ცეკვები. საღამოს ესწრებოდა თბილისში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის მრჩეველი ბატონი დენგ ჰაო, საელჩოს წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრები.